

სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის
თანამშრომელთა შესარჩევი კონკურსის წესი

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს წესი შემუშავებულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის №46 ბრძანებულებით დამტკიცებული „საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის“ მოთხოვნათა შესაბამისად და განსაზღვრავს სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრში (შემდგომში – სწავლების ცენტრი) ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების პრინციპებს, პროცედურებს, ფორმებსა და პირობებს.

2. ამ წესში მითითებული ვადების ათვლისას საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი უქმე და დასვენების დღეები არ ჩაითვლება.

მუხლი 2. კონკურსის მიზანი, ამოცანები და პრინციპები

1. კონკურსის მიზანია სწავლების ცენტრში არსებული ვაკანტური თანამდებობის მოთხოვნათა გათვალისწინებით შესაბამისი კანდიდატის შერჩევა.

2. კონკურსის ამოცანებია კანდიდატის კვალიფიკაციის, პროფესიული დონის, შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების შეფასება და მათი დასაკავებელი თანამდებობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დონის განსაზღვრა.

3. სწავლების ცენტრის თანამშრომელთა შესარჩევი კონკურსი ტარდება ობიექტურობის, გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობის, საჯაროობის, კოლეგიურობისა და კორექტულობის პრინციპების დაცვით.

თავი II
საკონკურსო-საატესტაციო კომისია

მუხლი 3. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის ფუნქცია და შემადგენლობა

1. სწავლების ცენტრში ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსს ატარებს საკონკურსო-საატესტაციო კომისია (შემდგომში - კომისია) წინამდებარე წესის შესაბამისად.

2. კომისიის თავმჯდომარეს, სწავლების ცენტრის დირექტორის წარდგინებით ნიშნავს საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი.

3. კომისიის წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე აუცილებელი საჭიროების გათვალისწინებით.

4. კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრთაგან ნიშნავს თავმჯდომარის მოადგილეს, რომელიც ცვლის მას არყოფნის შემთხვევაში.

მუხლი 4. კომისიის მუშაობის წესი

1. კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს სხდომების მეშვეობით. სხდომას ხსნის და დახურულად აცხადებს კომისიის თავმჯდომარე.

2. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.

3. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, დამსწრე კომისიის წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.

4. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და დამსწრე კომისიის წევრები. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

მუხლი 5. კომისიის წევრის აცილება

1. კომისიის წევრი ვალდებულია განაცხადოს ყველა იმ გარემოების თაობაზე, რომელმაც შეიძლება მას ხელი შეუშალოს კონკურსის მიმდინარეობისას კანდიდატის ობიექტურად შეფასებასა და გადაწყვეტილების მიუკერძოებლად გამოტანაში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისას კომისიის წევრი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება. აღნიშნული კომისიის წევრი ვერ მიიღებს მონაწილეობას კანდიდატის შეფასებასა და მის მიმართ გადაწყვეტილების მიღებაში.

3. იმ შემთხვევაში, თუ კომისიის წევრი არ განაცხადებს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობის შესახებ, ხოლო აღნიშნული ცნობილი გახდება კომისიისათვის კონკურსის მიმდინარეობისას, შესაბამისი კომისიის წევრის მიერ კანდიდატის შეფასება არ იქნება გათვალისწინებული საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

მუხლი 6. კომისიის სამდივნო

1. სწავლების ცენტრის თანამშრომელთა შესარჩევი კონკურსის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, მასზე დაკისრებული ამოცანების შესრულების უფლებამოსილების ვადით, კომისიის თავმჯდომარე ქმნის კომისიის სამდივნოს (შემდგომში – სამდივნო).

2. სამდივნო უზრუნველყოფს:

- ა) კომისიის სხდომის ორგანიზებას;
- ბ) კომისიის სხდომის ოქმის შედგენას;
- გ) საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე სწავლების ცენტრში ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ ინფორმაციის განთავსებას;
- დ) საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილი განცხადებების მიღებას;
- ე) კანდიდატთა ინფორმირებას დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ და მის მიღებასა და შემოწმებას;
- ვ) საკონკურსო დოკუმენტაციის კომისიისთვის წარდგენას;
- ზ) კანდიდატის წერილობით ინფორმირებას კონკურსის შედეგების თაობაზე;
- თ) კონკურსთან დაკავშირებული ინფორმაციის სწავლების ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნებას.

თავი III

კონკურსის ჩატარების პროცედურა

მუხლი 7. კონკურსის გამოცხადება

1. კონკურსის პროგრამას, ფორმას, ჩატარების გრაფიკს, კანდიდატის საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და კანდიდატის/საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასების კრიტერიუმებს განსაზღვრავს კომისია სწავლების ცენტრის დირექტორთან შეთანხმებით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით, სწავლების ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით, ვაკანტურ თანამდებობაზე ცხადდება სწავლების ცენტრის თანამშრომელთა შესარჩევი კონკურსი.

3. კონკურსის შესახებ შეტყობინებაში აღინიშნება შემდეგი მონაცემები:

- ა) კონკურსის წესით შესავსები თანამდებობის დასახელება;
- ბ) კანდიდატის მიმართ წაყენებული მოთხოვნები;
- გ) შესასრულებელი სამუშაო;
- დ) თანამდებობრივი სარგოს ოდენობა;
- ე) განცხადებისა და სხვა აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადა;
- ვ) კომისიის მისამართი და ტელეფონის ნომერი.

მუხლი 8. კონკურსში მონაწილეობისათვის განცხადების წარდგენა

1. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს 21 წლის ასაკიდან, რომელიც ფლობს სახელმწიფო ენას და აკმაყოფილებს ვაკანტური თანამდებობის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. კანდიდატთა ზღვრული ასაკი განისაზღვრება 65 წლით.
2. კონკურსში მონაწილეობისათვის განცხადების წარდგენა შეიძლება მხოლოდ ელექტრონული ფორმით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით.
3. კანდიდატს განცხადების წარსადგენად ეძლევა არანაკლებ 10-დღიანი ვადა კონკურსის გამოცხადების დღიდან. კონკურსის გამოცხადების დღედ ითვლება ბოლო გამოცხადების მომენტი.
4. კანდიდატთა განცხადების წარდგენის ვადის ამოწურვიდან 2 დღის ვადაში სამდივნო სწავლების ცენტრის ვებგვერდის საშუალებით აქვეყნებს კონკურსში მონაწილე კანდიდატთა სიას.

მუხლი 9. კონკურსის ეტაპები

1. კომისიის სხდომა ტარდება კონკურსის გამოცხადების დღიდან არა უადრეს 10 დღისა.
2. კონკურსი შესაძლებელია მოიცავდეს შემდეგ ეტაპებს:
 - ა) კანდიდატების შერჩევა წარმოდგენილი განცხადებების საფუძველზე;
 - ბ) შერჩეული კანდიდატებისთვის დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნა (პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის, განათლების, კვალიფიკაციისა და სხვა დოკუმენტაციის ასლები);
 - გ) გასაუბრება (კომისიას უფლება აქვს, გასაუბრების ეტაპზე, საჭიროების შემთხვევაში, კანდიდატს მისცეს წერიტი ან/და სიტუაციური დავალება, რომლის შესასრულებლად მას ეძლევა გონივრული ვადა).
3. დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნისას კანდიდატმა სამდივნოს უნდა წარუდგინოს მოთხოვნილი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი ან დედანი, რომლის ასლის შესაბამისობის დადგენის შემდგომ დოკუმენტის დედანი უბრუნდება კანდიდატს.
4. თუ მოთხოვნილი საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილია არასრულყოფილად ან ვადის გასვლის შემდეგ, კომისია იღებს გადაწყვეტილებას საკონკურსო დოკუმენტაციის განუხილველად დატოვების თაობაზე.

მუხლი 10. კონკურსის შედეგი

1. ამ წესის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ეტაპებზე კომისია კანდიდატთა მიერ წარდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხის შეფასებას ახორციელებს კომისიის მიერ განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით და იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატის კონკურსის შემდგომ ეტაპზე გადაყვანის ან გადაყვანაზე უარის თქმის შესახებ.
2. ამ წესის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ეტაპზე კომისია კანდიდატთა შეფასებას ახორციელებს კომისიის მიერ განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით და იღებს გადაწყვეტილებას სწავლების ცენტრის დირექტორისათვის ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატის დასანიშნად წარდგენის ან წარდგენაზე უარის თქმის შესახებ.
3. ამ მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში მითითებული კომისიის გადაწყვეტილებები მიიღება ამ წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით.
4. თუ კომისიამ უარი განაცხადა თანამდებობაზე დასანიშნად კანდიდატის წარდგენაზე ან ამ თანამდებობაზე არ იქნა მიღებული არც ერთი განცხადება, ამ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსი ითვლება ჩაშლილად.
5. სამდივნო ვალდებულია, კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 5 დღისა, წერილობით აცნობოს ყოველ კანდიდატს მის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილება.

თავი IV

კონკურსის შედეგების გასაჩივრება

მუხლი 11. საპრეტენზიო კომისია

1. კონკურსის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით, სწავლების ცენტრის დირექტორის ბრძანებით იქმნება საპრეტენზიო კომისია.

2. საპრეტენზიო კომისიის წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას განსაზღვრავს სწავლების ცენტრის დირექტორი.

3. საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და წევრები. კომისიის წევრი, რომელიც მონაწილეობდა კონკურსის რომელიმე ეტაპის ჩატარებაში, არ შეიძლება იყოს საპრეტენზიო კომისიაში.

4. საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს თავმჯდომარის მოადგილე.

5. საპრეტენზიო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

6. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე კომისიის წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტად ითვლება საპრეტენზიო კომისიის სხდომის თავმჯდომარის ხმა.

7. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ საპრეტენზიო კომისიის სხდომის თავმჯდომარე და დამსწრე კომისიის წევრები.

8. საპრეტენზიო კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

9. პირს საპრეტენზიო კომისიისადმი მიმართვის უფლება აქვს კონკურსის თითოეული ეტაპის შედეგების გამოცხადებიდან არა უგვიანეს 2 დღისა. საპრეტენზიო კომისიის სახელზე შეტანილი განცხადება განიხილება არა უმეტეს 3 დღეში. მიღებული გადაწყვეტილების თანახმად შედგება ოქმი გამოვლენილი ხარვეზის შესახებ და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება საკონკურსო-საატესტაციო კომისიას.

10. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს საკონკურსო-საატესტაციო კომისია საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილების გათვალისწინებით. საკონკურსო-საატესტაციო კომისიას უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში, მოიწვიოს გაფართოებული სხდომა საპრეტენზიო კომისიის წევრთა მონაწილეობით.

მუხლი 12. დავები კონკურსის შედეგებთან დაკავშირებით

კონკურსის პროცესთან და შედეგებთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა წყდება არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.